



საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გამომცემი
გამოცემის 1957 წლიდან
№6 (294) ივნისი, 2016 წელი

გაზეტი



გვ 3-4

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა ცერემონია

აბიტურიენტთა ინტენსიური მომზადების ცენტრმა მოამზადა საქართველოს უნივერსიტეტების რეიტინგი. კვლევა ეფუძნება ეროვნული გამოცდებით ჩარიცხული აბიტურიენტების შესახებ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მონაცემებს. რეიტინგულ სიაში რანჟირება მოხდა საბაკალავრო პროგრამებზე 2015 წელს ჩარიცხული აბიტურიენტების (პირველკურსელების) საკონკურსო ქულების საშუალო მაჩვენებლების მიხედვით. ამასთან, რეიტინგში მოხვდა მხოლოდ ის უნივერსიტეტები, რომლებშიც ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა 100-ს აჭარბებდა.

1. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი;
2. სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი;
3. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
4. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი;
5. შ.პ.ს. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი;
6. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი;
7. კავკასიის უნივერსიტეტი;
8. GIPA – „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი“;
9. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
10. ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი.

უნდა აღინიშნოს, რომ პირველ ათეულში შემავალ უნივერსიტეტებში 2015 წელს 10 000-ზე მეტი აბიტურიენტი ჩაირიცხა.



გვ 8


„წვივის ცაგატი წვეთი“ – ტრაგედიის გაცოცხლებული გმირები და „ჰიბიას“ წარმატება

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრი, დავით სერგეენკო, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გ. ფვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში.


გვ 2



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ინტერვენციული რადიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა მალხაზ მიზანდარმა და თსსუ-ის მონვეულმა პედაგოგმა, ექიმმა რადიოლოგმა თამთა აზრუმელაშვილმა განსაკუთრებული შემთხვევა აღწერეს: გიბანტური ინოპარაბალური ჰეპატოცელულური კარცინომის მტირე ინვაზიური მკურნალობის ტემნიკა – ტრანსარტერიული ემბოლიზაცია, და პარკუტანული დრენირება აბსცესის ფორმირების გამო.



გვ 5



- რეპროდუქციული ჯანმრთელობის დარგის განვითარებასთან ერთად, საქართველოში იზრდება ხელმისაწვდომობა მსოფლიოში არსებულ ყველა საუკეთესო დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მეთოდზე, რის საფუძველზეც მცირდება უშვილო წყვილთა რაოდენობა, რაც, დაახლოებით, 15-18 %-ია. შედარებით პრობლემას ქმნის წყვილებისთვის სრულყოფილი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ნაკლებობა. დაბალია კონტრაცეფციის თანამედროვე მეთოდების გამოყენება ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით.
- კვლევის შედეგებით აღინიშნება პროგრესი თანამედროვე კონტრაცეფციის მეთოდების გამოყენებასთან და აბორტების რიცხვის შემცირებასთან დაკავშირებით, რაც დადებითად აისახება ქალთა ჯანმრთელობაზე.

გვ 6



გვ 8

ლადო კოტეტიშვილი ბევრისთვის საყვარელი ექიმი იყო. მისი ქალიშვილი, ნანა, იხსენებს:

– მამა ავადმყოფებს შინ იღებდა, ესენი იყვნენ ძირითადად უბრალო ადამიანები – მეარღნეები, მუშები, როგორც ჩანს, წინათ ნევროზს ასეთი უკიდურესად გაჭირვებული ხალხი უწიოდა, მამა რეცეპტთან ერთად წამლის ფულსაც ხშირად აძლევდა ავადმყოფებს. ზოგჯერ თავად გადიოდა აფთიაქში და მოჰქონდა წამალი. ამიტომ ძალიან ჰყვარებიათ მამა. ხშირად მასთან მოდიოდნენ განკურნების შემდეგაც...

ამერიკის შეერთებულ შტატებში სუპერმდგრადი ბაქტერიული შტამი აღმოაჩინეს

გვ 5





ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე



1 ივნისი, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა არაერთი აქციით აღნიშნა. კერძოდ, საქველმოქმედო აქციები გაიმართა თსუ-ის სხვადასხვა კლინიკაში.

დილიდანვე ხალხმრავლობა იყო გივი ფანასის სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში. აქ მოვიდნენ არა მარტო თბილისელი ბავშვები, არამედ რეგიონებიდანაც.

აღსანიშნავია, რომ აქციის ფარგლებში ბავშვებისთვის უფასო კონსულტაციები ჩატარდა ყველა პროფილის ექიმი სპეციალისტის მონაწილეობით. ბავშვებისა და მათი მშობლებისთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო საქველმოქმედო გასინჯვა-კონსულტაციების აქციაში საერთაშორისო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, ბატონი დავით სერგაძის ჩართვა, რომელმაც გულწრფელად

მიულოცა ყველა პატარას ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე და აღნიშნა, რომ მისასალმებელი ინიციატივაა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მხრიდან ამ საქველმოქმედო აქციის მოწყობა – აქ ხომ პატარა პაციენტები ქართული პედიატრიის წამყვანი პროფესორებისგან იღებენ კონსულტაციებს.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქცია ტრადიციად დამკვიდრდა და უკვე მეშვიდედ ჩატარდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის №1 სტომატოლოგიურ კლინიკაში.

კლინიკის საკონფერენციო დარბაზში აქციაში მონაწილე მოზარდებთან მოეწყო საზეიმო შეხვედრა, სადაც თსუ-ის ასისტენტ-პროფესორმა, მაია ფხალაძემ, სტუმრებისთვის ჩაატარა საინფორმაციო-შემეცნებითი პრეზენტაცია კბილების და პირის ღრუს ჰიგიენის შესახებ.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიურმა კლინიკამ №211 ბაგა-ბაღის აღსაზრდელებს უმასპინძლა.

შეხვედრამ მხიარულად, ხალისიანად და საინტერესოდ ჩაიარა.

აქციის ფარგლებში კლინიკაში შემოსულ პაციენტებს გაენათ უფასო სტომატოლოგიური კონსულტაციები, ჩატარდა მათ პირის ღრუს პროფესიული ჰიგიენა და გადაუღებელი სტომატოლოგიური დახმარება.

გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის აქტივობები

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მესამე ეროვნული პროგრამის ფარგლებში, ორგანიზაციის საქართველოს ოფისსა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც დიპლომის შემდეგ მოხდება უწყვეტი პროფესიული განათლების წარმატებული პროგრამების დახურვასა და განხორციელებას ეხება.

დოკუმენტს ხელი მოაწერეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა ლელა ბაქრაძემ.

გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შორის 2015 წელს დაწესებული თანამშრომლობა ორ ძირითად საკითხს ეხება:

ოჯახის დაგეგმვის სფეროში სამედიცინო და პედაგოგიური პერსონალის კვალიფიკაციის ასაძლიერებლად, მტკიცებულებასა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ოჯახის დაგეგმვის ინტერაქტიული სასწავლო პაკეტი (Virtual contraceptive consultation - ViC) მიღება და დახურვა;

საექიმო საქმიანობის ისტორიის შეგროვება/წარმოების ახალი ნუსის – ე.წ. „პორტფოლიოს“ პაკეტის შემუშავება შედეგში პილოტირებით საექიმო სპეციალობაში „მეანობა-გინეკოლოგია“, რეზიდენტურისა და დიპლომის შემდეგ სამედიცინო განათლების სფეროში ხარისხის გასაუმჯობესებლად, კლინიკური საქმიანობის სათანადო შეფასების სისტემის სრულყოფა.

პირველი ეტაპის წარმატებით დასრულების შემდეგ, 2016 წლიდან მხარეები კვლავ აგრძელებენ თანამშრომლობას და მემორანდუმის თანახმად, პროგრამის წარმატებით განხორციელებას გაუწევენ მონიტორინგს.

ჩინეთის დელეგაციის ვიზიტი თსუ-ში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში შეხვდა ჩინეთის დელეგაციას ძილის პროფესორი იანგ.

შეხვედრას ესწრებოდნენ: რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის გუბერნატორი პაპუნა მარგველიძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, პროფესორი ხათუნა თოდაძე, რექტორის აპარატის უფროსი ნინო რუხაძე, თსუ-ის სამედიცინო განათლების, კვლევის და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი გაიანე სიმონია, საექციო საზოგადოება „საპარტნიორო ფონდის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის და პროტოკოლის სამსახურის კოორდინატორები: ცისია ფანჩიძე და

თამარ ნაბორაძე.

შეხვედრა გაცნობით ხასიათს ატარებდა, სტუმრებს უნივერსიტეტის ტრადიციებისა და სტრუქტურის შესახებ პრეზენტაცია წარუდგინა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა, პროფესორმა ხათუნა თოდაძემ.

ვიზიტისას სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი.

დასასრულს, სტუმრები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტისა და ხელოვნების ცენტრის სახალხო ანსამბლის კონცერტს დაესწრნენ, რომელიც მონაწილეობდნენ: სახალხო ანსამბლის ხალხურ საკრავთა კვარტეტი, ხალხური სიმღერის გოგონათა ანსამბლი „დეკა“, სამეჯლისო ცეკვების ანსამბლი „ვეგა“.



მაღალკვალიფიციარ საციალისტთა მოსაზრებლად

საქართველოს სამედიცინო ასოციაციების გაერთიანების მხარდაჭერითა და თანადგომით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩატარდა თსუ-ის დიპლომის შემდეგ სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის ექიმთა გადამზადების ახალი პროგრამის – „კლინიკური ფარმაცოლოგიის საკვანძო საკითხების“ – ტრენინგები.

პროგრამის ხელმძღვანელი გახლდათ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო უნარ-ჩვევების ცენტრის დირექტორი.

რი, სამედიცინო ფარმაცოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ლეონა გაბუნია. პროგრამა ითვალისწინებდა ყველა სპეციალობის სერტფიციაციის ექიმის გადამზადებას კლინიკურ ფარმაცოლოგიასა და ფარმაცოთერაპიაში. ტრენინგის მიზანია სამკურნალო საშუალებების რაციონალური და უსაფრთხო გამოყენების საშუალებით, პაციენტზე ზრუნვითი უწყვეტი, ეფექტიანი მკურნალობის გზების განვითარება. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირველადი ჯანდაცვის რგოლის გაძლიერების თვალსაზრისითაც.

ლონისძეების ფარგლებში გაიმართა სხვადასხვა სოციალური აქტივობა და შემეცნებითი ღონისძიებები.

ბალბარული პროფესორები თსუ-ში

2016 წლის 15 ივნისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ენივერსიტეტის პროფესორები: საველინა პოპოვსკა (ზოგადი და კლინიკური პათოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ევროპული ინტეგრაციისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ვიცე-დეკანი) და დიანა პენდიჩევა (ექსპერიმენტული და კლინიკური ფარმაცოლო-

გიის, დერმატოლოგიისა და ვენეროლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი, „ერას-მუს+“ კოორდინატორი).

ბულგარელმა პროფესორებმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და რეზიდენტებისათვის წაიკითხეს ლექციები და შეხვედრა გამართეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორსა და ადმინისტრაციის წევრებთან.

საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაცია „ACTS Georgia“ თსუ-თან თანამშრომლობას განაგრძობს

ახლახან ჩვენს უნივერსიტეტს საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაცია „ACTS Georgia“-ს დამაარსებელი და ხელმძღვანელი პატრიცია ბლერა, „ACTS Georgia“-ს პრეზიდენტი გიორგი ნილოსანი, მცხეთა-მთიანეთის მხარის გუბერნატორის მოადგილე გურამ ამირიძე ენივერსიტეტს შეხვდნენ: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, ვიცე-რექტორები: პროფესორები ხათუნა თოდაძე და რიმა ბერიაშვილი, დიპლომის შემდეგ სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის დირექტორი, ასოცირებული პროფესორი ზაზა ბოხუა და კლინიკური უნარების ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ასისტენტ-პროფესორი დალი ჩიტაიშვილი.

ქალბატონმა პატრიცია ბლერამ აღნიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი საიმედო პარტნიორია, ამიტომ მათ



დღი სურვილი აქვთ სამომავლო პროექტებშიც გაგრძელდეს ურთიერთთანამშრომლობა. პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ მზადყოფნა გამოხატა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ჩაერთოს მნიშვნელოვან პროექტში, მონაწილეობა მიიღოს იმ სამედიცინო პროექტების განხორციელებაში, რაც სასიკეთო იქნება ჩვენი ქვეყნისთვის.

ირანის ისლამური რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თსუ-ში



ბიანი ელჩი საქართველოში, მისი აღმასტუმრებელი აბას თალეზი ფარი და პროფესორი ამირ ფეკრესთი.

სტუმრებს შეხვდნენ: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, პროფესორი რიმა ბერიაშვილი და უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსი, ასოცირებული პროფესორი დავით თოფურია.

შეხვედრას, ასევე, ესწრებოდა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი პაატა კერვალიშვილი.

შეხვედრაზე საუბარი წარიმართა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალსა და ირანის ისლამური რესპუბლიკის მეცნიერებს შორის თანამშრომლობის პერსპექტივებზე.

ოფიციალური ვიზიტით სომხეთში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დელეგაცია: თსუ-ის საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, მენეჯმენტის, პოლიტიკისა და ეკონომიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ლევან ზარანიძე, ასოცირებული პროფესორი – ირინე ზარანიძე და მონვეული პედაგოგი – ქეთევან მურჯიკიანი, პრევენციული მედიცინისა და გარემოს ჯანმრთელობის მიმართულების, კვებისა და ასაკობრივი მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი, შალვა (დავით) ზარანიძე და დოქტორანტი ლია გუმბარაძე ოფიციალური ვიზიტით სომხეთში, ქალაქ ნახაჭოვში, იმყოფებოდნენ, სადაც მონაწილეობა მიიღეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და მ. პერაცის სახელობის ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეცნიერების დეპარტამენტის ინიციატივით და სომხეთის განათლების სამინისტროს მეცნიერებისა და განათლების კომიტეტის მხარდაჭერით ორგანიზებული ერთობლივ საერთაშორისო სკოლა-სემინარსა და კონფერენციაში. სკოლა-სემინარის ორგანიზაციული კომიტეტის



შემადგენლობაში სომეხ კოლეგებთან ერთად იყვნენ ასოცირებული პროფესორები: ირინე და შალვა ზარანიძეები, ასევე, მაგისტრი ურნა პოლოსოვა.

სკოლა-სემინარი და კონფერენცია მიეძღვნა შემდეგ საკითხებს: „სამედიცინო კომუნიკაციის როლი საზოგადოებრივ ჯანდაცვაში“ და „ახალგაზრდა მკვლევარის შესაძლებლობების განვითარება და შრომითი ბაზარი“.

სკოლა-სემინარზე პროფესორმა ირინე ზარანიძემ წაიკითხა ლექცია – „დამიანური რესურსების მართვის შესახებ“. ასევე, წარდგენილი იყო ორი პრეზენტაცია ქეთევან მურჯიკიანისა და ლია გუმბარაძის მიერ.

სივალბორების მედიცინაში გამოყენების პროექტი სკოლა-სემინარის 22-ე შეხვედრა

მიმდინარე წლის 15-17 ივნისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური უნარ-ჩვევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ირმა მანჯავიძე იმყოფებოდა ლისაბონის კონგრეს-ცენტრში სივალბორების მედიცინაში გამოყენების ევროპული ასოციაციის 22-ე შეხვედრაზე, რომელიც ტარდებოდა ეგიდით – „სამედიცინო განათლების მიმოხილვა 22 წლის განმავლობაში“.

პროფესორმა ირმა მანჯავიძემ წაიკითხა მოხსენება „სტუდენტების დამოკიდებულება სივალბორების სწავლებისა და შეფასების მიმართ“.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში; მონაწილეობა მიიღო ტრენინგში – „სივალბორული პაციენტების ინტეგრაციის მეთოდოლოგია თქვენს პრაქტიკაში“; დამატებითი კონსულტაცია გაიარა „Anatomege“-ის ევროპის რეგიონულ მენეჯერთან, დავიდ ტომასთან.

ქალბატონი ირმა გაეცნო ცენტრების ევროპული სტანდარტებით ფუნქციონირებისთვის აუცილებელი შეფასების, მონიტორინგისა და დებრიფინგის კომპიუტერიზებული სისტემებს. ასევე, დაესწრო სტანდარტული პაციენტების სწავლების ასოციაციის (ASPE) ტრენინგს.

მედიცინის მსოფლიო დღეების აღნიშვნა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის მხარდაჭერით, ახლახან თსუ-ში ჩატარდა მედიცინის მსოფლიო დღეების აღნიშვნა, რომელიც მონაწილეობდნენ სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ მედლებით, სიგელებით და ამ სპორტის სახეობისთვის საჭირო განსაკუთრებული საკვებით.



„ფარმაცეპტული ახალგაზრდა“

მიმდინარე წლის 4 ივნისს გაიმართა სამედიცინო კონფერენცია „ფარმაცეპტული აკადემია“. კონფერენცია გახსნა საქართველოს ფარმაცეპტული ასოციაციის პრეზიდენტმა, თსუ-ის პროფესორმა ალიომა ბაკურიძემ.

კონფერენციას ესწრებოდნენ თსუ-ის ფარმაციის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი დალი ბერაშვილი, სამედიცინო სფეროსა და ფარმაციის სფეროს წარმომადგენლები.

კონფერენცია გახსნა პროფესორმა ალიომა ბაკურიძემ. მოხსენებები წარადგინეს: მედიცინის აკადემიურმა დოქტორმა, პროფესორმა ზურაბ მარშანიამ („ერეტიკული დისფუნქცია – ძირითადი ინფორმაცია ფარმაცეპტებისთვის და მკურნალობის თანამედროვე ალგორითმები“);

მედიცინის აკადემიურმა დოქტორმა, მამუკა ქობალავამ („დისლიპიდემია - სტატინებით თერაპია უმნიშვნელოვან ფაქტორს კორონარული არტერიების დაავადების, და არა მხოლოდ, მკურნალობასა და პრევენციაში“);

პროფესორმა ალიომა ბაკურიძემ („სამკურნალო საშუალებების არჩევანის ქიმიურ-ფარმაცეპტული და მედიკო-ბიოლოგიური ასპექტები“).

ფარმაცეპტებისთვის ჩატარდა სემინარი თემაზე: „პაციენტთან მუშაობის დეონტოლოგია და კომუნიკაციის უნარები“, რომელსაც უძღვევდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დეკანი კლიმენტოვა.

დასასრულს, მონაწილეებს გადასცეს სერტიფიკატები.



თბილისის სახელმწიფო საპედიციო უნივერსიტეტის

ურსდამთავრებულთა ცერემონია



2015-2016 სასწავლო წლის დასასრულს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში კიდევ ერთხელ აღნიშნავენ კურსდამთავრებულთა ცერემონიას. ეს უმნიშვნელოვანესი დღეა, როცა ცხოვრების ახალი ეტაპის დასაწყისად მზად მყოფი სტუდენტებს პროფესორ-მასწავლებლები ემშვიდობებიან და საამაყო სიტყვებით მიმართავენ: ახალგაზრდა კოლეგებო!

თეთრ ხალათებზე, რომელთა შიგთხაობით შერჩეული ფერი, ფაქტობრივად, სიმბოლურ ფერად იქცა და ექიმის შეუბღალავი ავტორიტეტის და უანგარო მოღვაწეობის სიმბოლოდაც შეიძლება აღვიქვათ, სამახსოვრო წარწერები ჩნდება. წარწერები აკეთებენ მანტიების თეთრ ყელსახვევებზეც. მეგობრები და პროფესორ-მასწავლებლები, თსუ-ის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, ვიცე-რექტორები: ხათუნა თოდაძე და რიმა ბერიაშვილი, ფაკულტეტების დეკანები მნიშვნელოვან შეფასებებს ისმენენ მადლიერი კურსდამთავრებულებისაგან და გულთბილად ულოცავენ მათ უნივერსიტეტის დამთავრებას.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მათთვის მართლაც მშობლიური იყო და როგორც ამბობდნენ, მიღებულ განათლებას, პროფესიულ უნარ-ჩვევებსა და სამომავლო პერსპექტივებსაც ყოველთვის დაუმაძღვრებენ აკადემიურ პერსონალს, რომელმაც თავდაუზოგავი შრომით მათგან ექიმები, ექიმი სტომატოლოგები, რეაბილიტოლოგები, ფარმაცევტები, ექთნები და ჯანდაცვის სპეციალისტები შექმნა.

რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია:

წელს კიდევ ერთხელ აღნიშნავთ ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დღეს. მჯერა, რომ სამედიცინო უნივერსიტეტის ეს გამომავალი წარმატებული იქნება. ერთი რამ გახსოვდება: არ არსებობს „ჩემი ყოფილი უნივერსიტეტი“. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მუდამ თქვენი უნივერსიტეტი იქნება. საამაყოა, რომ თქვენ ნამდვილად საერთაშორისო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები ბრძანდებით. აქ 52 ქვეყნიდან ჩამოსული სტუდენტები სწავლობენ და ეს თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენი უნივერსიტეტი მიმზიდველია ბევრი ქვეყნისთვის. ის წარმატებული უნივერსიტეტი! თქვენ აქ გატარებული წლებით მოიპოვეთ წარმატების საგზაოები არა მარტო და ვფიქრობ, რომ წარმატებულები იქნებით. ახლა მთავარია მონდომება, ეს კი არ გაკლიათ!...

ვუსურვებ ყველას წარმატებას, დიდ ბედნიერებას და პროფესიულ სიამაყეს, ყველაზე მთავარი მაინც ის არის, რომ თქვენ შესაბამისი განათლება მიიღებთ, გაქვთ, დიპლომის შემდეგ სწავლენასაც ზოგი - ჩვენთან, ზოგიც სხვაგან გაივლით, თქვენ მზად ხართ შეხვიდეთ ისეთ ძლიერ კონკურენტულ გარემოში, როგორც დღეს მედიცინაში, სტომატოლოგიაში, ფარმაციაშია თუ რეაბილიტოლოგიაშია საქართველოში და ვფიქრობ, რომ წარმატებულები იქნებით. ახლა მთავარია მონდომება, ეს კი არ გაკლიათ!...

ვიცე-რექტორი, პროფესორი ხათუნა თოდაძე:

დასრულდა კიდევ ერთი სასწავლო წელი და სიამაყით მოგმართავთ უკვე კოლეგებს - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წლებიდან კურსდამთავრებულებს. მემამყობა, რომ თქვენი სახით პროფესიონალითა რიგებს შემატდება არაერთი ექიმი, სტომატოლოგი, რეაბილიტოლოგი, ფარმაცევტი და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტი. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი კი ყოველთვის იქნება თქვენი უნივერსიტეტი. აქ ყოველთვის გაახარებთ თქვენი ნებისმიერი წარმატება.

ჩემი უნივერსიტეტი! - ასე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს საქართველოს მოქალაქეების გარდა, კიდევ 52 ქვეყნის მოქალაქეები უწოდებენ. ჩვენ ერთი დიდი მრავალეროვანი ოჯახი გვაქვს და ერთად ვაკეთებთ ძალიან მნიშვნელოვან საქმეს განათლების სფეროში.

დღეის შემდეგ დავბოლოვებ, როცა უკვე თქვენგან, კურსდამთავრებულებიდან, ველით იმის დასტურს, რომ ამოდ არ ჩაუვლია ერთად გატარებული წლები. წარმატებას გისურვებთ ამ მნიშვნელოვან ასპარეზზე. წლების წინ გაკეთებულმა არჩევანმა, რომ გსურდათ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში უმაღლესი განათლების მიღება, ბევრი რამ განსაზღვრა თქვენს ცხოვრებაში: პროფესიისადმი ერთგულება, უანგარობა, ჰუმანიზმი, მუდმივი სრულყოფისკენ სწრაფვა სამედიცინო სფეროსთან დაკავშირებული პროფესიების განუყოფ-

ლი ნაწილია. თქვენ გაქვთ ეს ღირსებები და დიდი პერსპექტივა, რომ მნიშვნელოვანი სიტყვა თქვეთ თქვენს მომავალ პროფესიულ საქმიანობაში. გილოცავთ ცხოვრების ახალი ეტაპის დაწყებას!

წარმატებებით გველოთ!

ვიცე-რექტორი, პროფესორი რიმა ბერიაშვილი:

გილოცავთ ცხოვრების ახალ საფეხურზე გადაბიჯებას. წინ ახალი სამყარო გელით და უფრო მეტი პასუხისმგებლობა გეკისრებათ. ადამიანის ჯანმრთელობის სამსახურში ყოფნა ხომ ამქვეყნიად ყველაზე დიდი პასუხისმგებლობაა...

მინდა ყოველ თქვენგანს გისურვოთ წარმატებები თქვენი ცხოვრების გზაზე! ჯანსაღი ცხოვრებით გეცხოვროთ, უეკლო გზებით გეგლოთ, იღბალი ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების მეგზური, საკუთარი თავის რწმენა და სიყვარული არასდროს დაკარგოთ...

თქვენი საყვარელი უნივერსიტეტი ყოველთვის თქვენს გვერდით იქნება, ყველა თქვენი წარმატება ჩვენი წარმატებაც იქნება.

დარწმუნებული ვარ, რომ მზად ხართ რთული და საინტერესო ცხოვრებისეული ბარიერების გადასალახად და საყვარელი ალმა მატერ თქვენი იამაყებს.

მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი თინათინ ჩიქვიანი:

ეს მნიშვნელოვანი დღეა, ამერიდან კიდევ მეტად იგრძნობთ იმ დიდი შრომის შედეგს, რაც გასწავლეთ უნივერსიტეტში სწავლისას... ახლა აქ დაგხარებთ და უკვე ექიმები ხართ. არ არის იოლი, იყო ექიმი XXI საუკუნეში. მსოფლიო ელოდება ახალ მიდგომებს, იმ რთული პრობლემების გადასაჭრელად, რაც კაცობრიობას ექმნება სხვადასხვა დაავადების არსებობის სახით. თქვენ უნდა იყოთ ახალი გზების ძიებაში, რომ მაქსიმალურად დაეხმაროთ ყველას, ვისაც ეს სჭირდება.

სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი სამსონ მღებრიშვილი:

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანატის სახელით მოგესალმებით, გისურვებთ წარმატებებს და პროფესიულ სრულყოფას. გვჯერა, რომ ფაკულტეტის ეს გამოშვება გვახსნის თქვენი მომავალი საქმიანობით და პროფესიონალიზმით. ვიმედოვნებთ, რომ სტომატოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები იქნებით კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, აღჭურვილი ღრმა თეორიული ცოდნით და უნარებით, რაც საექიმო საქმიანობაში თქვენი წარმატების საწინდარი იქნება.

მადლიერებას გამოვხატავთ თქვენ მიმართ, რომ მოგვეცით საშუალება, გვესწავლებინა და სწორი მიმართულება მოგვეცა თქვენი პროფესიული განვითარების გზაზე.

ფაკულტეტზე აღიზარდა მრავალი ღირსეული თაობა და, იმედი გვაქვს, რომ თქვენც არ უღალატებთ ტრადიციას.

ფარმაცეპტის დეკანის მოადგილე, თამარ ჩიქვილაძე:

თქვენ ცხოვრების მნიშვნელოვანი ოთხი წელი განვლეთ, უნივერსიტეტში გატარებული დღეები არასდროს დაგავიწყდებათ. თქვენ ხომ აქ გაიზარდეთ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, აღარ ხართ „თინები“, ცოდნა შეიძინეთ, ერთმანეთი იპოვეთ, გტკიოდათ, გიხაროდათ, გიყვარდათ...

დღეს პროფესიულ გზაზე გიშვებთ, დამოუკიდებლად. გზაზე, რომელსაც ფარმაცია ჰქვია. მასზე დიდმა ადამიანებმა გაიარეს და მათი ღვაწლი არასდროს დაგავიწყდებათ.

გმადლობთ, რომ მოგვეცით საშუალება გვესწავლებინა, მიმართულბა მოგვეცა, გმადლობთ, რომ მიიღეთ ჩვენგან, რისი მოცემაც გვინდოდა. გვჯერა, წარმატებებს მიაღწევთ, რადგან ძლიერი ბაზისი გაქვთ. და კიდევ - საიმედო ზურგი... ჩვენ აქ ვართ, ვფიქრობთ თქვენზე. ყოველთვის შეგიძლიათ მოგვმართოთ და ვიდრე ძალა შეგეწევს, ყველაფერს გაგაკეთებთ, რადგან თქვენი ვაფასებთ საკუთარ თავს, ჩვენი შრომის ნაყოფი ხართ, ჩვენი სულის ნაწილი ხართ.

არ შეუშინდეთ სიძნელეებს, არ დაკმაყოფილდეთ მიღწეულით, იცოდეთ, ცოდნით, შრომით და სიყვარულით ყველაფრის მიღწევა შეიძლება. გვჯეროდეთ საკუთარი ძალების, გიყვარდეთ საკუთარი საქმი, არ დაკარგოთ ერთმანეთი და ბედნიერებაც სხვა არაფერია - საყვარელი საქმის კეთება და საყვარელ ადამიანებთან ყოფნა.

გელოდებით სწავლების შემდგომ საფეხურებზე, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში. იარეთ თამამად! არ შეჩერდეთ და გზა აუცილებლად გამოიჩნდება.

გილოცავთ, გიყვარხართ!

ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ბიძინა ზურაშვილი:

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანატის სახელით გილოცავთ სწავლის დასრულებას.

ოთხმა წელმა საოცარი სისწრაფით გაიზარდა. გუშინდელ დღესათვის მასსოვს თქვენი შემოზიგება ჩვენი „ალმა მატერის“ კედლებში, რომელსაც დღეს დატოვებთ როგორც პროფესიონალები და დაინებთ დამოუკიდებელი ცხოვრების დიდ გზაზე აღმასვლას. გზაზე, რომელსაც უნდა მივიყვანოთ იმ ტაძართან, რასაც პროფესიული აღიარება ჰქვია.

სამედიცინო უნივერსიტეტმა, ფაკულტეტმა, დეპარტამენტებმა, თითოეულმა პროფესორ-მასწავლებელმა, ვისთანაც კი გქონიათ ურთიერთობა ამ წლების განმავლობაში, მაქსიმალური გააკეთა იმისთვის, რომ თქვენ, დიდი ცოდნით აღჭურვილი, შედგომოდით დამოუკიდებელ ცხოვრებას. პროფესიიდან გამოიშინდით, თქვენ დგებით ჩვენი ქვეყნის, ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობის განმტკიცების სადარაჯოზე. იმედი მაქვს, რომ იმ ცოდნას და გამოცდილებას, რაც უნივერსიტეტის კედლებში მიიღეთ, უანგაროდ გამოიყენებთ ჩვენი ერის საკეთილდღეოდ.

უნივერსიტეტში სწავლის დასრულებით ჩვენ

არ ვშორდებით ერთმანეთს. უნივერსიტეტი ყოველთვის თქვენ გვერდით იქნება. იმედი მაქვს, რომ მიღწეული შედეგებით არ დაკმაყოფილდებით და წინ ივლით პროფესიული დაოსტატების გზაზე.

გილოცავთ ამ დღეს და წარმატებებს გისურვებთ პროფესიულ საქმიანობაში. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ლელა მასხალია:

პატივცემულო კურსდამთავრებულებო! ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დღე, რადგან თქვენი ცხოვრების ახალი ეტაპი იწყება. უკვე ძალიან მალე შეუდგებით პრაქტიკულ საქმიანობას მედიცინის ამ შედარებით ახალ, მაღალი ტემპით განვითარებად, მეტად მოთხოვნად დარგში. თქვენ ჩაერთვებით ურთულესი პაციენტების სარეაბილიტაციო მართვაში და იზრუნებთ მათი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ბევრი თქვენგანი სულ მალე დაბრუნდება უნივერსიტეტში და გააგრძელებს სწავლას სამედიცინო პროგრამებზე, რომელთა რაოდენობა, ხარისხი და მრავალფეროვნება წლიდან წლამდე იზრდება, რაც, აგრეთვე, მჭიდრო კავშირშია ამ პროფესიის განვითარებასთან არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოში.

თქვენმა პროფესორ-მასწავლებლებმა თავდაუზოგავად იშრომეს და ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ მზად იყოთ პროფესიული საქმიანობისთვის და წარმატებით გაართვათ თავი იმ გამოწვევებს, რომელიც გექნებათ თქვენი პროფესიული კარიერის განმავლობაში. ჩვენ ყოველთვის მივადევნებთ თვალს თქვენს წარმატებებს და, დარწმუნებული ვარ, ვიამაყებთ თქვენი მიღწევებით.

გისურვებთ წარმატებებს!

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი მედეა ჯღარკავა:

ქვეყნის ისტორიაში უკვე მეორე თაობა ხართ, ვინც საექიმო საქმის ბაკალავრის ხარისხით (ექთანი, ბუბიქალა) დაასრულა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი.

ჯანდაცვის სისტემის განვითარების თანამედროვე ტემპმა და ტენდენციებმა რადიკალურად შეცვალა ექთნის როლის ტრადიციული ხედი, სწორედ ამიტომაც, თქვენი პროფესია გახდა ერთ-ერთი მოთხოვნადი პროფესიათა შორის.

საექიმო საქმიანობა წარმოუდგენელია კომპლექსური ექთნის/ბუბიქალის გარეშე. საუნივერსიტეტო განათლება გაძლევთ საშუალებას იყოთ წარმატებული და კონკურენტუნარიანი. გისურვებთ პროფესიულ ზრდას და დიდ წინსვლას საექიმო საქმიანობაში.

უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსი, ასოცირებული პროფესორი დავით თოფურია:

დღეს მნიშვნელოვანი დღეა ჩვენთვის... თქვენ ჩემს წინაშე დაგხარებთ გაზრდილები, დაბ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე





თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხურსდამთავრებულთა ცერემონია



დასაწყისი გვ 3-ზე

რძენებულები და, რაც მთავარია, უკვე ექიმები... თამამად შემიძლია ვთქვა, რომ თქვენ ჩვენი დიდი ოჯახის სრულყოფილებიანი წევრები ხართ და პროფესიული აღმასვლის გზაზე გიმეობთ. მუდამ გიყვარდეთ თქვენი საქმე, ისწავლეთ სირთულეების გადალახვა, ირწმუნეთ საკუთარი ძალა და მაშინ ნათლად დაინახავთ ხალხის პატივისცემას, ნდობას, დაფასებას, მიხედვით რომ შეგიძლიათ აკეთოთ გასაცარი რამ – იყოთ კარგი ექიმი... არ შეუშინდეთ სიძნელეებს, იყავით ძლიერნი, პატიოსნები, იმუშავეთ მუყაითად და დააფასეთ ადამიანები, რომლებიც მერწმუნეთ არაფერს არ დაიმურებენ თქვენთვის.

წარმატებებს გისურვებთ, იარეთ თამამად მწვერვლებისაკენ!



ექიმების ოჯახში გაზრდილს, მომავალი პროფესიის არჩევა ნამდვილად არ გამჭირვებია. სამედიცინო სფეროში საქმიანობის სურვილი ბავშვობიდანვე გამიჩნდა.

პირველი შეხვედრა სამედიცინო უნივერსიტეტთან მოსამზადებელ ცენტრში სწავლის პერიოდში მოხდა. ძალიან მომწონდა ცენტრში შექმნილი ატმოსფერო, მასწავლებლები, თანამშრომლები და იქ შექმნილი ბევრი მეგობარი. მახსოვს, როგორი კეთილი შური გავეცქეროდი უნივერსიტეტის ეზოში მოფუსფუსე თეთრხალათიანებს და ვოცნებობდი, მალე მათ რიგებს შევეერთებოდი.

წარმატებით ჩავაბარე ეროვნული გამოცდები და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტი გახდი. მიმართა, რომ საზოგადოებრივი ჯანდაცვა სამედიცინო სფეროს ერთ-ერთი ძირითადი რგოლია, ცხადია, რამდენად პრიორიტეტულია ჩვენი ქვეყნისთვის დაავადებათა პრევენცია, მაღალი დონის სამედიცინო მომსახურება და მისი ხელმისაწვდომობა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩემი ცხოვრების ოთხი უმშვენიერესი წელი გავატარე.

კიდევ ერთხელ დიდ მადლობას უხვდი უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, პროფესორ-მასწავლებლებს, ყველა იმ არაჩვეულებრივ ადამიანს, ვისთანაც მქონდა ურთიერთობა ამ ხნის განმავლობაში და, რა თქმა უნდა, ჩემს საყვარელ მშობლებს განუყოფელი მზრუნველობისთვის.

წინ სირთულეებითა და წინააღმდეგობებით აღსავსე დიდი გზა გასავლელი. მომავალ აბიტურიენტებს კი ნამდვილად უურჩევ, არჩევანი სწორედ ჩვენს ფაკულტეტზე გააკეთონ, რადგან საზოგადოებრივი ჯანდაცვა თანამედროვე მედიცინის მომავალია.

მარიამ სულაბერიძე,
საზოგადოებრივი ჯანდაცვის
ფაკულტეტის კურსდამთავრებული

სამედიცინო სფეროს მიმართ უდიდესი სიყვარულის გამო ავირჩიე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და ვთვლი, რომ ძალიან გამიმართლა. ოთხი წელი დამჭირდა იმ დარგის კარგად გასაცნობად, რომელიც ავირჩიე. ვცდილობდი, ზედმიწევნით დაკვირვებით მესწავლა ის საგნები, რომლებიც შემდგომში ჩემი ძირითადი პროფესიის დასაუფლებლად გამოიმადგებოდა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ნამდვილად არიან პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც თავიანთ ცოდნას გადმოგცემდნენ არა მარტო მედიცინისა და მეცნიერების, არამედ ადამიანური მიდგომის თვალსაზრისით, რასაც მე და ჩემი თანაკურსელები ყველაზე მეტად ვაფასებთ.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო ჩემი ფიზიოლოგიის ლექტორი, რომელმაც ადამიანობის მაგალითი მაჩვენა და მასწავლა, რომ ცხოვრება ბრძოლაა და ბევრი რამ უნდა დაძლიო მიზნის მისაღწევად. ასევე, უდიდეს მადლობას უხვდი სპორტული მედიცინის დეპარტამენტს, რომელმაც საკმაოდ დიდი ცოდნა მომიცა პროფესიული თვალსაზრისით. მსურს სწავლა გაავარძლო მაგისტრის დიპლომის მისაღებად, რომელიც გზას გამიხსნის სპეციალისტად ჩამოყალიბებაში.

მომავალ სტუდენტებს უურჩევ, დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ არჩეულ პროფესიას, გაითავისონ, რომ ძირითადად მათზე იქნება დამოკიდებული ადამიანის სიცოცხლე. მედიცინის სხვადასხვა კომპლექსურ დარგებს შორის რეაბილიტაციას ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს – ადამიანის სრულყოფილი სიცოცხლის ხარისხი ჩვენს სპეციალობაზე ბევრად დამოკიდებულია.

ანანო საბინაშვი,
ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის
ფაკულტეტის კურსდამთავრებული

ხურსდამთავრებულთა წერიტი...

ექვსი წლის წინ ჩავირიცხე სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე. მოვიპოვე დაფინანსება ჩემი სწავლისათვის, ვიყავი ერთ-ერთი წარჩინებული სტუდენტი და ვთვლი, რომ საქართველოში საკმაოდ კარგი თეორიული კურსის გავლა შესაძლებელი. თუმცა, გამოიმდინარე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური სტატუსიდან, კლინიკური პრაქტიკა შეზღუდულია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შვავს ძალიან ბევრი კარგი პროფესორი, ლექტორი, რომლებიც დაუფლავად შრომობენ სტუდენტების პროფესიული განვითარებისათვის. გარდა ამისა, ამ ქვეყნის განმავლობაში საშუალება მომეცა ოთხი პრაქტიკული კურსი გამველო გერმანიის სხვადასხვა კლინიკაში, რამაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქალბატონ მანანა ქუთელიასა და ბატონ გიორგი გრიგოლიას.

მინდა კარგად შევისწავლო ონკოლოგია. ჩვენს ქვეყანაში უამრავი ონკოლოგიური პაციენტია, რომელთა მკურნალობა მეტად გაძნელებულია. ადამიანები მუდმივად დგებიან ფაქტის წინაშე, რომ სიცოცხლის შესანარჩუნებლად, აუცილებელია საზღვარგარეთ მკურნალობა, თუმცა ეს ყველაფერი დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული და შესაბამისად მხოლოდ ცოტას ეძლევა შანსი იბრძოლოს სიცოცხლისათვის.

რაც მეტს ვფიქრობ საქართველოში არსებულ სიტუაციაზე, ჩემი მიზანი უფრო და უფრო ნათელი ხდება. მინდა მაქსიმალურად გამოვიყენო სწავლების წლები, დავამუშაო კონტაქტი განვითარებული ქვეყნების ექიმებთან და დავეხმარო ხალხს.

ამავეს ვურჩევდი მომავალ სტუდენტებსა და ჩემს კოლეგებს. ეცადეთ მიზანმიმართულად გამოიყენოთ ის ექვსი წელი, რომელსაც სამედიცინო უნივერსიტეტში გაატარებთ. ბევრი ალბათ ფიქრობს, რომ ეს დიდი დროა, მაგრამ კარგი ექიმობისთვის კიდევ უფრო მეტი წელი და დაუფლავი შრომაა საჭირო. ვისურვებდი ყველამ და მათ შორის მეც, გავაცნობიეროთ ჩვენი პროფესიის მიზანი და პასუხისმგებლობა.

მართალია საზღვარგარეთ ცხოვრება ბევრად მიწვიდვლად გამოიყურება, მაგრამ ვისურვებდი ყველა ადამიანმა, ვისაც უცხოეთში სწავლის საშუალება გვეძლევა, ჩვენი ადამიანური რესურსი, განათლება და შრომა მოვახმაროთ ჩვენს ქვეყანას, რადგან მას ძალიან ეჭირდებათ. ვიმედოვნებ, მომავალში შევძლებ საკუთარი წვლილი შევიტანო გერმანულ და ქართულ ონკოლოგიურ კლინიკებს ურთიერთობაში, რაც ბევრ ქართველ პაციენტს მისცემს გადარჩენის შესაძლებლობას.

თინათინ ზომორიშვილი
მედიცინის ფაკულტეტის კურსდამთავრებული

მემაძეება, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ვარ. ჩვენ აქ ბევრი რამ ვისწავლეთ, გავიზარდეთ, გავიარეთ საკუთარი მოვალეობები უნივერსიტეტისა და საზოგადოების წინაშე, გავეცით მთელი ციხე-ნაკლებად ყველა სფეროს და თითოეული დეპარტამენტის თითოეული პროფესორის დამსახურებით, საგანთან ერთად, ვეუფლებოდით პაციენტებთან ურთიერთობის კულტურას.

პროფესია პროფესორ-მასწავლებლებმა შეგვაცარეს. ვხედავდით რა მათ დამოკიდებულებას პაციენტების მიმართ, ცოტა არ იყოს, გვიკვირდა ამგვარი უსაზღვრო სიყვარული უცხო ადამიანებისადმი, ყოველთვის გულთან მიქონდათ მათი გასაჭირი და ძალ-ღონეს არ იშურებდნენ სხვების დასახმარებლად. ჩვენც გავითავისეთ ამგვარი დამოკიდებულება პაციენტებისადმი და თავისუფლად შეიძლებოდა ითქვას, რომ კარგი ექიმები ვიქნებოთ, რადგან გულში სიყვარული გვაქვს სავესტ... დიდი მადლობა სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანს – ბატონ სამსონ მღებრიშვილს და დეკანის მოადგილეს – ქალბატონ ნანა ყიფიანს. ძალიან გვიყვარხართ! ბედნიერებაა, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც მუდამ ჩვენთან იყვენ, გვაძხვებდნენ, გვიცადენენ, საჭიროების შემთხვევაში შენიშვნებსაც გვაძლევდნენ და გვეხმარებოდნენ პრობლემების გადაჭრაში. მათი წყალობით არასოდეს გვექონია უსამართლობის განცდა.

უნივერსიტეტმა ძალიან დიდი შესაძლებლობა მოგვცა, მიგველო პრაქტიკული ცოდნა, რაც ჩვენი საყვარელი რეპტორის, ბატონი ზურაბ ვადაჭკორიას, დამსახურებაა. მისი წყალობით, სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებს საშუალება აქვთ მიიღონ თანამედროვე მეთოდების შესაფერისი უმაღლესი სამედიცინო განათლება. ჩვენ გამოცდილ ექიმებთან ერთად მუშაობის გამოცდილებაც გვაქვს. ძალიან მიჭირს უნივერსიტეტთან განშორება, მაგრამ, ამავედროულად, მისარია და ბედნიერი ვარ, რომ ჩვენი სახით ასპარეზზე გამოდის სტომატოლოგთა საკმაოდ განათლებული და ჭკვიანი თაობა.

იმედი მაქვს, ძალიან ბევრს დავეხმარებოთ ტკივილის დაძლევაში, სხვადასხვა დაავადების ადრეულ დიაგნოსტიკაში და ამით გადავარჩინო მათ სიცოცხლეს.

სოფიო პაპრიაშვილი,
სტომატოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული

სულ რაღაც ოთხი წლის წინ, ზუსტად ამ დროს ვერ კიდევ აბიტურიენტი მერქვა, სტუდენტობაზე ვოცნებობდი, დროზე, როდესაც საოცნებო უნივერსიტეტის კარს შემოვალდებდი, როცა მეც შემეძლებოდა თეთრი ხალათით შემელო აუდიტორიის კარი და ლექტორის კითხვაზე, თუ ვინ ვიყავი, ამაყად ავმდგარიყავი და მეპასუხა – თამთა ქარჩავა, სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი.

სულ რამდენიმე დღის წინ ბოლო ზარი მქონდა. შო, ბოლო ზარი მეროდ უკვე გული მწყდებოდა, სამუდამოდ რომ ვემშვიდობებოდი ბავშვობის უდარდელ წლებს, ახლა კი, როდესაც უკვე მეროდ დაირეკა ბოლო ზარი, ამ ზარს სულ სხვა ხმა მქონდა. მასში მაყურადი აკორდების ხმა ისმოდა, მხნე, მხარაული, იმედით სავსე, ფონად მასაც სდევდა სევდა, მაგრამ ეს სევდა უდარდელი სტუდენტობის წლებთან გამოთხოვების სევდა იყო...

გუშინდელი დღესავით მახსოვს დღე, როდესაც სულ პირველად, აკანკალებული ხელით შემოვალე უნივერსიტეტის კარი და აქ მართლა მთელი მსოფლიო დამხვდა. არა მარტო საქართველოს ყველა კუთხიდან თავმოყრილიყვნენ ახალგაზრდები, რომლებიც ჩემსავით იმედით ანთებული თვალებით უყურებდნენ მომავალს, არამედ მთელი ევროპა და აზიაც აქ იყო.

შემდეგ იყო დამოუკიდებლობისა და თვითდამკვიდრებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯები, თეთრად გათენებული ღამეები, ურთულესი საგნები, მიძიმე შრომა, თავდადება, დაღლა, უძილობა, მაგრამ არცერთი წამით არ ყოფილა სინანული, რთული გზა უფრო მამხნევებდა და ძალას მძაბვდა, შემდეგ იყო დიდი კობის მეორე საფეხური... გულისფანცქალით აყოლებული აკანკალებული თითი სტიპენდიატა სიაში ქვემოდან ზემოთ და უსაზღვრო სიამაყისა და სიხარულის გრძნობა, როცა ჩემი სახელი და გვარი ამ დროის განმავლობაში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაციის ფაკულტეტის სტიპენდიატთა რეიტინგულ სიაში სულ ყველაზე მაღალქულიან სტიპენდიატ სტუდენტებს შორის მხვდებოდა.

უპირველეს ყოვლისა, ძალიან დიდი მადლობა ჩემს უსაყვარლეს ლექტორებს, რომლებმაც გამიხსნეს კარი საოცარ სამყაროში და მომიცეს საშუალება, ვიზარებოდი და გავცნობოდი პროფესიას, რომელსაც ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის სადარჯჯოზე დგამდა პეკია. პროფესიას, რომელიც გავაღებებულებს, იყო სხვისი სიცოცხლის დამცველი.


რას ვურჩევდი მომავალს სტუდენტებს? – ჩემი ძვირფასეობი, იყო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი, ეს უდიდესი სიხარულია. თქვენ წინ დიდი ბედნიერება გელით, თუმცა, უდიდეს სიხარულთან ერთად, ეს არცთუ ისე მარტივად გასავლელი გზაა. ჩვენ არ გვაქვს უფლება პატარა შეცდომის დამკვებისაც კი, რადგანაც პატარა უზუსტობის უკანაც კი, ასეული და ათასეული ადამიანის ბედი დგას.

თქვენ, უბრალოდ, ძალიან გაგიმართლათ და ბედნიერები ხართ, თქვენ სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები გქვიათ. წინ დიდი და რთული გზა გელით. იყო სახელოვანი – ეს ბედნიერებაა, იყო სასარგებლო – ეს მოვალეობაა.

თამთა ქარჩავა,
ფარმაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებული



გიგანტური ინოვარაბული ჰეპატოცელულური ჯირკვლის კარცინომის მკურნალობის ტექნიკა - ტრანსარტერიული ემბოლიზაცია და პერკუტანული დრენირება აბსცესის ფორმირების გამო.




სურ 1


თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ინტერვენციული რადიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა მალხაზ მიწანდარმა და თსუ-ის მონვეულმა პედაგოგმა, ექიმმა რადიოლოგმა თამაზ აზრუმელაშვილმა განსაკუთრებული კლინიკური შემთხვევა დააფიქსირეს.

წარმოდგენილია გიგანტური ინოვარაბული ჰეპატოცელულური კარცინომის მკურნალობის ტექნიკა - ტრანსარტერიული ემბოლიზაცია, და პერკუტანული დრენირება აბსცესის ფორმირების გამო.

ანამნეზიდან აღსანიშნავია, რომ 55 წლის მამაკაცს აწუხებდა გულისრევა, ყრუ ტკივილები მარჯვენა ფერდქვეშა მიდამოში და წონაში კლება. ულტრაბგერითი და კომპიუტერული ტომოგრაფიით გამოვლინდა ღვიძლის მარჯვენა ნილში მდებარე გიგანტური (მაქსიმალური დიამეტრი 15 სმ და მოცულობა 1100მლ სურ.1) მოცულობითი წარმონაქმნი, რომელიც მკვეთრად ვასკულური იყო არტერიულ ფაზაში კვლევისას და აბსცესის მსგავსი კონტრასტის გამორეცხვა ვენურ ფაზაში. ანალიზებით პაციენტს აღმოაჩნდა ვირუსული ჰეპატიტი B და მომატებული ალფეტოპროტეინის დონე სისხლში. ბიოფსიით დადგინდა ჰეპატოცელულური კარცინომა. სიმსივნის მკვებავი ორი არტერიის (ღვიძლის მარჯვენა და დიაფრაგმის არტერია) ტრანსარტერიული ემბოლიზაცია შესრულდა 100-300 მიკრონი და 300-500 მიკრონი საემბოლიზაციო მიკრონაწილაკების გამოყენებით სიმსივნის კაპილარული ქსელის დაკეტვის მიზნით; ამას დაემატა ცენტრალური სისხლძარღვების ემბოლიზაცია სპეციალური საემბოლიზაციო ღრუბელით (სურ 2 და 3). პირველივე სესიაზე მოხდა სიმსივნის სრული დანეკროზება (სურ. 4). 45 დღის შემდეგ პაციენტს დაენყო მაღალი ცხელება შემცივნებით და კომპიუტერულ ტომოგრაფიაზე გამოვლინდა 1550მლ გაზის შემცველი ცისტური წარმონაქმნი - აბსცესი (სურ 5), რომლის დრენირებაც შესრულდა კანდიან კომპიუტერული ტომოგრაფიის კონტროლით 14 F დიამეტრის მადრენირებელი კათეტერის ჩაყენებით აბსცესის ღრუში.



სურ 2



სურ 3


შედეგები: ერთ სესიად ჩატარებული ღვიძლის სიმსივნის ტრანსარტერიული ემბოლიზაციით მოხერხდა სიმსივნის სრული დევასკულარიზაცია, რაც ნათლად დაფიქსირდა კომპიუტერულ ტომოგრაფიაზე. პაციენტმა ადვილად გადაიტანა აღწერილი ჩარევა ადრეული გართულებების გარეშე. ემბოლიზაციის შემდეგ ჩატარებული ანტიბიოტიკოთერაპიის მიუხედავად, სიმსივნის ერთ ეტაპად სრული დანეკროზების გამო მოხდა ნეკროზული ქსოვილის დაჩირქება. აბსცესის პერკუტანული დრენირება ჩატარდა ამბულატორიულ რეჟიმში (სურ.6). ონკომარკერის (AFP) დონემ დაინია და გახდა ნორმალური რამდენიმე კვირაში. 57 დღეში, დრენირებიდან ჩატარებულ საკონტროლო კომპიუტერულ ტომოგრაფიაზე, ნეკროზული სიმსივნე მთლიანად იყო ალაგებული და სიმსივნური ქსოვილი აღარ იხსებოდა (სურ 7). 4 წლის შემდეგ ჩატარებულ საკონტროლო კომპიუტერულ ტომოგრაფიაზე სიმსივნური წარმონაქმნი არ იხსებოდა.

დასკვნა: ღვიძლის აბსცესის ფორმირების ალბათობა არ უნდა იყოს მიჩნეული ღვიძლის სიმსივნის აგრესიული ერთმომენტური სრული ემბოლიზაციის წინააღმდეგ ჩვენებად პაციენტის კარგი ზოგადი მდგომარეობის შემთხვევაში.


- სურათები:**
- სურ. 1.** ღვიძლის მარჯვენა ნილის გიგანტური სიმსივნე (მოცულობა 1100 მლ);
 - სურ. 2.** ტრანსარტერიული ემბოლიზაცია - სიმსივნის მკვებავი ღვიძლის არტერიის ტოტი;
 - სურ. 3.** ტრანსარტერიული ემბოლიზაცია - სიმსივნის კეება დიაფრაგმის არტერიიდან;
 - სურ. 4.** კტ ემბოლიზაციის შემდეგ - სიმსივნე სრულად დანეკროზებულია;
 - სურ. 5.** კტ ემბოლიზაციიდან 45 დღეში - აბსცესის ფორმირება;
 - სურ. 6.** კტ აბსცესის დრენირების შემდეგ - ღრუში იხსებოდა კათეტერი და საკონტრასტო ნივთიერება;
 - სურ. 7.** კტ დრენირებიდან 57 დღეში. - სიმსივნე სრულადაა ალაგებული.



სურ 4



სურ 5




სურ 6



სურ 7

სიხვეუკე უცხოელში

აშშ-ში სუპერმდგრადი ბაქტერიული შტამი აღმოაჩინდა



თუ ვისთან ჰქონდა კონტაქტი ქალს და შეეძლო თუ არა მას ვინმე დაესნებოვნებინა.

ეს პირველი შემთხვევაა მსგავსი მიკროორგანიზმების გამოვლენისა აშშ-ში, თუმცა, ექსპერტები ახალი სუპერმდგრადი ბაქტერიების გამოჩენას უახლოესი მომავლისთვის ელიან. მსგავსი ბაქტერიები უკვე აღმოჩენილია ჩინეთში, ევროპასა და კანადაში.

პენსილვანიაში აღმოაჩინეს ანტიბიოტიკების მიმართ გამძლე ნაწილის ჩხირის შტამი. მისგან გამონეული ინფექციის წინააღმდეგ საბრძოლველად უძლურია კოლისტინიცკი, რომელიც, ჩვეულებრივ, განსაკუთრებით ძლიერ მიკროორგანიზმებთან საბრძოლველად გამოიყენება. მიკროორგანიზმი აღმოაჩნდა 49 წლის ქალს, რომელმაც პენსილვანიის ერთ-ერთ საავადმყოფოს მიმართა. ცნობილი არაა, როდის დასნებოვნდა იგი. მას ბოლო ხუთი თვეა ქვეყანა არ დაუტოვებია. მიკროორგანიზმები აღმოჩენილია პაციენტის შარდში.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ უკვე დაასახელა ანტიბიოტიკმდგრადობა ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად. მის გაჩენას, ძირითადად, უკავშირებენ ანტიბიოტიკების ხშირ დანიშვნას, რომელიც ყოველთვის აუცილებელი არაა. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ რესპოდენტობა 64%-ის აზრით, ანტიბიოტიკი შეიძლება გამოყენებულ იქნას გრიპის სამკურნალოდ, 32%-ს კი მიაჩნია, რომ დანიშნული ანტიბიოტიკების კურსის გავლა საჭირო არაა და პრეპარატების მიღება შეიძლება შეწყდეს მდგომარეობის გაუმჯობესებისთანავე.

<http://edition.cnn.com/2016/05/26/health/first-superbug-cre-case-in-us/index.html>

აღმოჩენილია გავანტულ სკლეროზთან დაკავშირებული მუტაცია



ციენტების მდგომარეობა დროდადრო მხოლოდ უარესდება, გამწვავება არ იცვლება რემისიით, სიმპტომატიკა მატულობს.

აღრულ პერიოდში მკვლევრებმა ვერ მიაგნეს, თუ რომელი გენი შეიძლება იყოს პასუხისმგებელი გავანტული სკლეროზის განვითარებაზე, თუმცა აღინიშნავდნენ, რომ ეს დაავადება ხშირად თავს იჩენდა ოჯახებში.

ექსპერიმენტის დროს, ბრიტანეთის კოლუმბიის უნივერსიტეტის მეცნიერები იკვლევდნენ ერთი კანადური ოჯახის წევრების გენომებს. ოჯახის ორი თაობიდან 5 წევრი დაავადებული იყო გავანტული სკლეროზის პროგრესირებადი ფორმით. შესაძლებელი გახდა იდენტიფიცირება მუტაციისა, რომელიც წარმოქმნის NR1H3 გენს. გარდა ამისა, გააანალიზეს რა, გავანტული სკლეროზით დაავადებული 2000 პაციენტის შემდეგ, გამოავლინეს მუტაცია კიდევ ერთ ოჯახში.

აღმოჩნდა, რომ გავანტული სკლეროზის განვითარების რისკი შეიძლება დაკავშირებული იყოს, გენომში იშვიათი მუტაციის არსებობასთან, რომელიც წარმოშობს NR1H3 გენს. მისი მატარებლები ავადდებიან გავანტული სკლეროზის სწრაფად პროგრესირებადი ფორმით 70%-ით უფრო ხშირად, ვიდრე ისინი, ვისაც ეს მუტაცია არ აქვს.

მუტაცია გვხვდება საკმაოდ იშვიათად - გავანტული სკლეროზით დაავადებული ათასი პაციენტიდან ერთში. თუმცა მისი გამოვლენა დაგვეხმარება ვინისაწარმეტყველოთ ამ სერიოზული დაავადების აღმოცენების შესაძლო რისკის შესახებ ოჯახის სხვა წევრებისთვის, ამავდროს მოვახდინოთ რისკის ჯგუფში მყოფი ადამიანების დროული დიაგნოსტიკა, ადრეულ სტადიაში მკურნალობის დაწყება და დაავადების პროგრესირების შეჩერება.

ასე, რომ მკვლევრებმა ეს დაავადება აღმოაჩინეს, ჯანმრთელი ადამიანის იმ ჯგუფებში, რომელთაც დაავადების ნიშნები არ ჰქონდათ, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მუტაცია ზრდის გავანტული სკლეროზის წარმოქმნის რისკს, და არ გვევლინება მისი განვითარების უშუალო მიზეზად.

მოცემულ შედეგებზე დაყრდნობით, მკვლევრებმა დაგვეხმარა, შევექმნათ ცხოველური მოდელი, რომლის მეშვეობით შეიძლება შეისწავლონ დაავადების განვითარების პროცესი და შეიმუშაონ მასთან ბრძოლის ახალი მეთოდები.

გავანტული სკლეროზით დაავადებულთა უმრავლესობაში მწვავე ფორმა იცვლება რემისიით, მაგრამ 10-15%-ს აღინიშნება პირველადი-პროგრესირებადი გავანტული სკლეროზი. ასეთი პა-

<http://www.livescience.com/54943-multiple-sclerosis-gene.htm>



სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემა



როგორც რეპროდუქციული ჯანმრთელობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, როგორ შეაფასებდით ჯანდაცვის ამ მნიშვნელოვანი დარგის დღევანდელ მდგომარეობას, როგორც ზოგადად, ასევე, ჩვენთან?

– დღესდღეობით მედიცინის ყველა დარგში მიმდინარეობს კვლევა-ძიება, სიახლეთა უწყვეტ რეჟიმში ათვისება-დანერგვის პროცესი; მათ შორისაა რეპროდუქციული ჯანმრთელობაც, რომელიც მედიცინის სწრაფად განვითარებადი დარგია. ამ დარგში გამუდმებით ხდება სპეციალისტთა მომზადება უწყვეტი განათლების პროცესების საშუალებით მეან-გინეკოლოგებად, შემდგომ-

ში – მათი დახელოვნებით გინეკოლოგიურ ენდოკრინოლოგიაში კვალიფიციური, მაღალხარისხოვანი კონსულტაციების და მომსახურების გასაწევად, რომელშიც აქტიურადაა ჩართული თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი.

– ამჟამად, როდესაც მედიცინის ეს მიმართულება კვლევა-ძიების და სიახლეთა ათვისება-დანერგვის რეჟიმში ვითარდება, შესაძლებელია თუ არა სწავლების და სპეციალისტთა მომზადება დახელოვნების პროცესის იმგვარად წარმართვა, რომ პაციენტებმა ჩვენს ექიმ-რეპროდუქციოლოგებს უყოყმანოდ მიანდონ საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის

დღეს, როდესაც საქართველოში კრიტიკული დემოგრაფიული ვითარებაა და შედეგად შობადობის რაოდენობის მნიშვნელოვანი კლება ფიქსირდება, არ შეიძლება ყურადღების მიღმა დარჩეს ქვეყნისთვის ამ სასიცოცხლოდ უმნიშვნელოვანესი პრობლემის მოგვარების გზების ძიების აუცილებლობა, კერძოდ, ეროვნული საკანონმდებლო პოლიტიკის დახვეწის და სრულყოფის საჭიროება. დიდია პროფესიონალების – რეპროდუქციოლოგების მისიაც ამ პროცესებში მათი მეტად ჩართულობის და მაღალკვალიფიციური მიდგომების საჭიროების გათვალისწინებით.

გადავწყვიტეთ ამ თემაზე სასაუბროდ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რეპროდუქციული ჯანმრთელობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი, საქართველოს მეან-გინეკოლოგიის ასოციაციის პრეზიდენტი, დიდი ბრიტანეთის სამეფო კოლეჯის წევრი, ბატონი **თენგიზ ასათიანი**, მოგვეწვია. – „პროფესიულად რაც შესაძლებელი იყო, ყველაფერი გავაკეთე, თუმცა, დახელოვნებას ზღვარი არ აქვს, ვსწავლობდი და ვსწავლობ. ბევრს ვმოგზაურობ, რათა არ გამომჩიეს უახლესი მიღწევები მედიცინაში“, – აცხადებს დარგის ლიდერი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, შესანიშნავი პიროვნება და პედაგოგი, რომელსაც 70 წელი ახლახანს შეუსრულდა. ცხოვრების უდიდესი ნაწილი სწორედ თავის პროფესიას მიუძღვნა. წარმატებებსა და წინსვლას ვუსურვებთ ურთულესი მისიის შესრულებისას, დიდხანს ელვანოს ქართველი დედებისა და ბავშვების სასიკეთოდ.

მართვა?

– რეპროდუქციული ჯანმრთელობის დარგის განვითარებასთან ერთად, საქართველოში იზრდება ხელმისაწვდომობა მსოფლიოში არსებულ ყველა საუკეთესო სადიაგნოსტიკო და სამკურნალო მეთოდზე, რის საფუძველზეც მცირდება უშვილო წყვილთა რაოდენობა, რაც, დაახლოებით, 15-18 %-ია. შედარებით პრობლემას ქმნის წყვილებისთვის სრულყოფილი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ნაკლებობა. დაბალია კონტრაცეფციის თანამედროვე მეთოდების გამოყენება ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით. აბორტი კვლავ რჩება არასასურველი ორსულობის თავიდან აცილების ფართოდ გამოყენებად მეთოდად, თუმცა, შეინიშნება დადებითი ტენდენცია, რასაც ადასტურებს ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა საქართველოში. კვლევის შედეგებით აღინიშნება პროგრესი თანამედროვე კონტრაცეფციის მეთოდების გამოყენებასთან და აბორტების რიცხვის შემცირებასთან დაკავშირებით, რაც დადებითად აისახება

ქალთა ჯანმრთელობაზე.

ჯერ კიდევ არსებობს მნიშვნელოვანი გაუმჯობესების აუცილებლობა მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობის, პოლიტიკის და სტანდარტების სრულყოფის დარგში ხარისხიან მომსახურებასა და ინფორმაციაზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდის თვალსაზრისით.

– ცნობილია, რომ ჩვენთან კრიტიკული დემოგრაფიული ვითარებაა. ამიტომ არცთუ უმნიშვნელოა პროფესიონალების – ექიმი-სპეციალისტების – როლი ამ საქმეში. საინტერესოა, რა ვითარებაა ამ მიმართებით. იგრძნობთ თუ არა უშვილო წყვილთა რაოდენობის კლება, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის რა მეთოდები და ხერხები ხელმისაწვდომი მათთვის?

– პირველი რიგის ამოცანად შეიძლება ჩაითვალოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის ნაციონალური პროგრამის შემუშავება, ერთიანი მიდგომისა და უწყვეტი ჯაჭვის არსებობა ყველა საფეხურებზე დონეზე. ოჯახის დაგეგმვის, უსაფრთხო დედობის,

ორსულობის უსაფრთხო შეწყვეტის, იმ ფაქტების შესწავლა, რაც გავლენას ახდენს შობადობაზე, კონტრაცეპტივების გამოყენებაზე, დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობაზე.

– თქვენ, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ექსპერტს, დიდი ბრიტანეთის სამეფო კოლეჯის და არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრს, დიდი ცოდნა-გამოცდილების მქონე სპეციალისტს, მნიშვნელოვანი წვლილი გაქვთ შეტანილი ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის გაუმჯობესების საქმეში. მიგაჩნიათ თუ არა, რომ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი რეპროდუქციული ჯანმრთელობის პრობლემების მოსაგვარებლად?

– მნიშვნელოვანია სახელმწიფომ აიღოს ვალდებულება ყველა მოქალაქის ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად, გადადგას მნიშვნელოვანი ნაბიჯები რეპროდუქციული ჯანმრთელობის განვითარების პროგრამის ხელშესაწყობად.

ესაუბრა ღარეჯან კომლაძე

სახსრუ აქტივობაში

ლიპიდური პროფილის კვლევა ავადმყოფობის გამოსავლენად



დღეისთვის ენდომეტრიოზის დიაგნოსტიკისთვის გამოიყენება კვლევის მეთოდების მთელი კომპლექსი – ულტრაბგერითი და ლაპაროსკოპიული გამოკვლევების ჩათვლით.

პენსილვანიის უნივერსიტეტის მეცნიერებმა (Penn State University) ამ დაავადების გამოვლენის ახალი მეთოდი შეიმუშავეს, კერძოდ, დაადგინეს, რომ დიაგნოზის დასასმელად საკმარისია მხოლოდ სისხლის ანალიზი. სწორედ ლიპიდური პროფილის კვლევა დაეხმარება ექიმს ავადმყოფობის გამოსავლენად.

ადრე მიაჩნდათ, რომ ენდომეტრიოზი ლიპიდური მეტაბოლიზმის ცვლილებების თანმხლებია. მეცნიერები ვარაუდობდნენ, რომ ლიპიდური პროფილის კვლევისას ნორმიდან გადახრა შესაძლოა დაავადების განვითარებაზე მიანიშნებდეს. ამ შემთხვევაში კი

დიაგნოზის დასასმელად ლაპაროსკოპიული კვლევის ჩატარების აუცილებლობა არაა.

თავიანთი მოსაზრების დასამტკიცებლად შეისწავლეს ლიპიდური ცვლის დონე ვირთავების ორ – ჯანმრთელ და ენდომეტრიოზით დაავადებულ ჯგუფში. დადგინდა, რომ სისხლში ზოგი ლიპიდის მომატებული დონე ამ დაავადებასთან ასოცირდება.

მიღებული შედეგების ადამიანებზე განვრცობა ჯერ კიდევ წინაა, მაგრამ ავტორები დარწმუნებულნი არიან, რომ მალე შეიმუშავენ სადიაგნოსტიკო ტესტს, რომელიც მათ ენდომეტრიოზის დიაგნოსტიკის გამართვების საშუალებას მისცემს.

http://www.upi.com/Health_News/2016/06/15/Blood-test-for-endometriosis-may-be-possible-researchers-

საშვილოსნოს გადაწევის შემდეგ დედა მკურნალობის გზა

შეეცინა მცხოვრები ქალბატონი, რომელიც ერთ-ერთი პირველი პაციენტი გახლდათ, საშვილოსნო რომ გადაწევა, მეორე ბავშვს ელოდება. ამის შესახებ საზოგადოებას განუცხადა პროფესორმა მეთს ბრენსტორმმა, ქირურგმა, რომელმაც 2014 წელს პაციენტს საშვილოსნო გადაწევა.

შეეცინა პირველი ქვეყანა იყო, სადაც მსგავსი ოპერაციის ნებართვა გაიცა. შემდეგში საშვილოსნოს გადაწევა დაუშვეს დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. შეეცინა პირველ ცხრა პაციენტს საშვილოსნო დონორებმა – საკუთარმა დედებმა გადაწევენ. დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში დაშვებულია დონორებად იმ პაციენტების საშვილოსნოს გამოყენება, რომლებსაც უკვე დაუფიქსირდათ ტინის სიკვდილი.

საშვილოსნოს გადაწევის შემდეგ, პირველი ბავშვი შეეცინაში გაჩნდა 2014 წლის ოქტომბ-



ერში. სწორედ პროფესორმა მეთს ბრენსტორმმა ჩაატარა პირველი წარმატებული ოპერაცია. აქამდე მცდელობა იყო თურქეთსა და საუდის არაბეთში, მაგრამ პაციენ-

ტებმა ვერ შეძლეს ნაყოფის შენარჩუნება.

<http://www.bbc.com/news/health-36577453>

იმუნური სისტემა სისხლის წინააღმდეგ



ამერიკის შეერთებულ შტატებში გადახედავენ განცხადებას

ადამიანის გენომის მოდიფიცირების შესახებ CRISPR/Cas სისტემის საშუალებით. პენსილვანიის უნივერსიტეტის მეცნიერები გეგმავენ დნმ T ლიმფოციტების რედაქტირებას. ეს დაეხმარება ადამიანის ორგანიზმს მიელომასთან, მელანომასთან და სარკომასთან ბრძოლაში. ნებართვის მიღების შემთხვევაში, მკვლევრები გამოყოფენ T ლიმფოციტებს სწული

ადამიანის ორგანიზმიდან, მოდიფიცირებას მოახდენენ და უკანვე შეიყვანენ გენს პაციენტის ორგანიზმში, რაც იმუნურ სისტემას საშუალებას მისცემს ეფექტურად ებრძოლოს სიმსივნურ დაავადებებს.

CRISPR/Cas სისტემა უკვე დაშვებულია ემბრიონის გენომის რედაქტირებისთვის. მისი გამოყენება ნებადართულია დიდ ბრიტანეთსა და იაპონიაში.

<http://www.statnews.com/2016/06/16/crispr-first-human-trial-cancer/>





აკადემიკოსი ვიტალი ყურაშვილი – 95

როგორც ექიმმა, ხუთივე, ომის ჯოჯოხეთიდან, შინ მშვიდობით ბრუნდება, რათა ღირსეულად ემსახუროს სამშობლოს – ერთ ოჯახში მეცნიერებათა ხუთი დოქტორი (ისტორიის, ბიოლოგიის, მედიცინის) მართლაც საარაკო ინტელექტის, შრომის-მოყვარეობის, პიროვნული და ეროვნული პასუხისმგებლობის რეფლექსიაა. არ გვეგულება საქართველოში (აღბათ, მსოფლიოშიც) ისეთი ოჯახები, სადაც ხუთი ვაჟი, ხუთივე ომს გადარჩენილი, შემდგომ – ხუთივე პროფესორი და აკადემიკოსი გამხდარიყო. ეცნობი ამ საოცარი ადამიანების ბიოგრაფიებს და მურმან ლებანიძის ცნობილი სტროფი გაგონდება:

„თუ უფლის ნება არ გაჩნდა ზოგში, რა გამოარჩევს კაცს კაცთა ჯოგში?“
ფიქრობთ, სწორედ უფლის ნებით, უფლის მადლით გამოიჩინა ყურაშვილითა საგვარეულოში ეს შტო „კაცთა ჯოგში“ იმ სიკეთით, ადამიანთა მსახურებისთვის მუდმივად მზადყოფნა რჩეულებს რომ უფლისგანვე მოჰმადლებიათ, რათა საღმრთო ტალანტი მსახურებითვე დაუბრუნონ უფალს (და არა უმადურად დაფლან მინაში). მადლი მადლს ამრავლებსო, თქმულა, და აღარ გიკვირს, რომ ყოველი მომდევნო თაობა ყურაშვილებისა ღირსეულად აგრძელებს საგვარეულოს სახელოვან ტრადიციებს. შემთხვევითი როდია, რომ დინასტიის ფუძემდებლებს, ხუთ ღვანდომილ ძმას, საქართველოს დამსახურებულმა ჟურნალისტმა, რემ დავიდოვმა „სახელოვანი სიცოცხლის მეთაური (თაურმდგენნი)“ უწოდა.

აკადემიკოსმა ვიტალი ყურაშვილმა 1942 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი: იმავე წელს ნაიდა ფრონტზე. 1948 წელს, საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზაციის შემდეგ, ასპირანტურა გაიარა ლენინგრადის სამედიცინო ექსპერიმენტული მედიცინის ინსტიტუტში. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ მუშაობდა იქვე, ვირუსოლოგიის განყოფილებაში. 1954 წელს დაიცვა საკანდიდატო, 1966 წელს კი – სადოქტორო დისერტაცია. მისი ხელმძღვანელი და გზამკვლევა ა. სმოროდინცევი – საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ექსპერიმენტული მედიცინის ინსტიტუტში ვირუსოლოგიის განყოფილების თავკაცი, ლენინისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ანტივირუსული იმუნიტეტის პრობლემის წამყვანი სპეციალისტი, მრავალი ეფექტური პრეპარატის ავტორი.

1954 წელს ვიტალი ყურაშვილმა თბილისში ვაქცინებისა და შრატების საკავშირო სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში გახსნა პირველი ვირუსოლოგიური ლაბორატორია საქართველოში. იგი იყო ვირუსოლოგიური კვლევის ფუძემდებელი რესპუბლიკაში. მისი მეცნიერული კვლევა მოიცავს ეპიდემიოლოგიის, ინფექციური პათოლოგიის, კლინიკის, იმუნოლოგიის, მიკროორგანიზმთა გენეტიკისა და სხვა საკითხებს. დღესაც თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის მიკრობიოლოგიისა და ეპიდემიოლოგიის კათედრის ყოფილი გამგის, ვიტალი ყურაშვილის შრომები დეტალურად ციტირდება გრიპსა და ანტიგრიპოზულ იმუნიტეტზე გამოქვეყნებულ რუსულ, ინგლისურ და სხვა ენებზე გამოცემულ სახელმძღვანელოებში.

ღვთის წყალობა იყო, აღბათ, ბატონი ვიტალის დაქორწინებაც პროფესიით თერაპევტ, უჭკვიანეს და ულამაზეს ქალბატონ აგნესა გურგენიძეზე. ის საოცარ მეგობრობას უწევდა საყვარელ მეუღლეს, რითაც ურთულეს შრომას უადვილებდა. მათი ოჯახური იდილია დღესაც ალაფრთოვანებით და ყოფას უფაქიზებთ სახელოვან შთამომავალთ.

„სახელოვანი სიცოცხლის თაურმდგენთაგან“ ერთ-ერთის, ბატონი ვიტალის, სამივე ქალიშვილი – ქალბატონები: ნელი, ნათელა და ბელა, უდიდეს ინტელექტთან

ერთად, ოჯახისთვის ნიშნული მადლით გამოურჩევიან განგებას, მედიცინის დოქტორები საგვარეულო საქმეს მადლითვე ემსახურებიან, დიდი სიყვარულითა და სითბოთი ახალ თაობასაც აკვალანებენ საღვთო გზაზე მოყვასის კურნებისა.

რუსეთში, გერმანიასა თუ ამერიკაში იღვნიან ყურაშვილთა სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები, სანთლებით ანათებენ...

ილიას სიტყვების უნათლესი დასტურია მათი ღვანდი: „კაცი სამშობლოში საკუთარი ოჯახის სახე და დესპანია, უცხოეთში – სამშობლოსი“. ოჯახშიც, სამშობლოშიც, სამშობლოს გარეთაც – ყველგან ღირსეულად წარმოჩინდება ყურაშვილების დიდებული საგვარეულოს ყველა თაობა, ჩინებული ადამიანები, რომელთაც ბიბლიური სიბრძნეც ახსოვთ – „არა ძირი იგი შენ გიტვირთავს – არამედ ძირსა მას... შენ“ და სიბრძნეც გიორგი მერჩულისა – „ნაყოფისაგან საცნაურ არს სიკეთე ხისა“...

„ძირიც“ და „ნაყოფიც“ ყურაშვილთა საგვარეულოსი კეთილია უფლისგან... უფალივე ფარავდეს...

პროფესორი ირაკლი მჭედლიძის
თსუ-ის აკადემიკოსი
ბიოსტატისტიკის დეპარტამენტის
ხელმძღვანელი, პროფესორი
კონსტანტინე აზრილონიძე



გამოსათხოვარი



კიდევ ერთი შესანიშნავი ადამიანი გამოაკლდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ღვანდომილთა რიგებს – ქალბატონი ინა ხეჩინაშვილი – განათლებული და მაღალინტელექტუალური პროფესიონალი, პატივისცემითა და სიყვარულით გარემოსილი პიროვნება კოლეგებისა და სტუდენტების მიერ...

პუშკინის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ქალბატონმა ინამ ბედი დაუკავშირა ქუთაისში ცნობილი ექიმების – ხეჩინაშვილების ოჯახის ღირსეულ წარმომადგენელს და მუშაობა დაიწყო ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში პედაგოგად, პარალელურად – სამეცნიერო თემზეც – პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ნოდების მოსაპოვებლად,

მაგრამ მოულოდნელმა ტრაგიკულმა შემთხვევამ – მეუღლის უეცარმა გარდაცვალებამ – შეიღებთან ერთად მშობლიურ თბილისს დააბრუნა. 1972 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (უნივერსიტეტი) რუსული ენის კათედრის უფროსი მასწავლებელია. მძიმე ოჯახური გარემოება სამეცნიერო საქმიანობაში ქალბატონი ინასთვის ხელშემშლელი აღმოჩნდა. განათლებულმა, თავისი საქმის შესანიშნავმა მცოდნემ, მიზნად დაისახა პრაქტიკული პედაგოგიური მუშაობა. მას ძალიან უყვარდა ახალგაზრდები, მეგობრობდა სტუდენტებთან, თავისი შედეგების მეგობრებთანაც. სტუმართმოყვარე, ყურადღებიანი ქალბატონი სხვის გასაჭირს ითავისებდა, და, შეძლებისდაგვარადაც ეხმარებოდა ნაცნობ-უცნობს.

1997 წლამდე იღვანა ხეჩინაშვილების დიდი ოჯახის წარმომადგენელმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში და ღირსეული სახელი დატოვა, როგორც კვდამაოსილმა, პატივცემულმა, ქალაქში ცნობილმა ერთ-ერთმა კოლორიტულმა ქალბატონმა. ინა ხეჩინაშვილი დააკლდა ყველას, ვინც კი მას იცნობდა. მშობლიური მიწის სიმსუბუქე შეეშველება იმ გზასავე, სადაც მართალნი განისვენებენ!

თბილისის სახელმწიფო
სამედიცინო უნივერსიტეტის
უცხოური ენების ცენტრი

თანგიზ (თამარ) ტაბუცაძე



გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ქირურგიის N1 დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თანგიზ (თემურ) ტაბუცაძე. დაიბადა 1954 წლის 15 აპრილს. 1971 წელს დაამთავრა ონის საშუალო სკოლა, ხოლო 1978 წელს – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი.

1978-1981 წლებში გაიარა ასპირანტურის კურსი თსი-ის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრაზე და 1981 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1984-1989 წლებში სწავლობდა მოსკოვის ა. ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტის დოქტორანტურაში,

რომლის დამთავრების შემდეგაც (1989 წ.) წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

თ. ტაბუცაძე 1981 წელს აირჩიეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის ასისტენტად, 1990-2006 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის ქირურგიულ სნეულებათა N1 კათედრის პროფესორი, ხოლო 2006 წლიდან გარდაცვალებამდე – თსუ-ის ქირურგიის N1 დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი. სხვადასხვა წლებში გაიარა სტაჟირება ქ. მაინის ფრანკფურტისა და მანჰაიმის (გერმანია) საუნივერსიტეტო კლინიკებში, ატლანტის (აშშ) ქირურგიულ ჰოსპიტალში. 1997-2007 წლებში ხელმძღვანელობდა აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის ბაზაზე მის მიერვე დაარსებულ ენდოსკოპიური ქირურგიისა და ლიოთორიქსის ცენტრს. 2007 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ქირურგად აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკაში. მის მიერ შესრულებულია სხვადასხვა სირთულის ასობით ოპერაცია.

თ. ტაბუცაძე იყო ლაპაროსკოპული ქირურგიისა (1992 წლიდან) და ბილიარული ლიოთორიქსის (2000 წლიდან) პიონერი საქართველოში. მის მიერ ჩვენს ქვეყანაში პირველად შესრულდა ლაპაროსკოპული ქოლესისტექტომია. იგი იყო, აგრეთვე, ტრანსლუმინალური ქირურგიის (ოპერაციები ბუნებრივი ხვრელების გზით) ერთ-ერთი პიონერი მსოფლიოში (2008 წ.).

ბატონი თემური არაერთი ეროვნული თუ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმის მონაწილეა. იგი 137 სამეცნიერო შრომის ავტორია, რომელთაგანაც 4 მონოგრაფიაა; თავისუფლად ფლობდა რუსულ და გერმანულ ენებს. თ. ტაბუცაძე სიყვარულითა და ავტორიტეტით სარგებლობდა სტუდენტებსა და კოლეგებს შორის.

იგი ვაჟკაცურად ებრძოდა უკურნებელ სენს. სამუშაოზე, ახალგაზრდულ ასაკში დააკლდა ოჯახს და ახლობელ ადამიანებს. მას კიდევ ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება შეეძლო ჩვენი საზოგადოებისათვის. მისი ნათელი სსოვნა სამუდამოდ დარჩნა მადლიერი პაციენტებისა და მეგობრების გულსა და სსოვნაში.

თბილისის სახელმწიფო
სამედიცინო უნივერსიტეტი,
ქირურგიის N1 დეპარტამენტის
თანაპროფესორი

უ ბ ზ ა რ ო



კოტეტიშვილი - გვარი, რომელიც ქართულ ფესვთან გათანაბრდა, რადგან მისი ორი დიდი წარმომადგენელი - ვახტანგ და ვახუშტი კოტეტიშვილები სწორედ ქართული ფესვის სიმართლესა და გადარჩენას ემსახურებოდნენ. ის, რაც მათ ქართული ფოლკლორის პოპულარიზაციისა და შენარჩუნებისთვის გააკეთეს, გმირობის ტოლფასი იყო საბჭოთა წლებში, უფროსს - დიდ მეცნიერ ვახტანგ კოტეტიშვილს (მამას) სიცოცხლის ფასად დაუსვენეს კიდეც ეს ღვაწლი. უმცროსმა - მეცნიერმა, მთარგმნელმა და პოეტმა ვახუშტი კოტეტიშვილმა ხალხური პოეზიის საღამოებით, პოეზიის ნიმუშების ჩაწერითა და შეგროვებით მამის გზა გააგრძელა.

სამსახურით მოარულ სტროფებს - „მოვკლავ დედას, მოვკლავ მამას, თუ პარტია მომთხოვს ამას“ - ას-სამდა ხორცს. საკვირველია, დახვრეტას როგორ გადაურჩა... იქნებ იმიტომ რომ ისედაც ახალგაზრდა დასწულდა და გარდაიცვალა.

ლადო კოტეტიშვილი გარდა იმისა, რომ პროფესიონალი ექიმი იყო, წერდა, ხატავდა, აქანდაკებდა... მისი პიროვნება კარგად იხსნება პატარა წერილებში, რომელიც მაშინდელი ლენინგრადიდან მოუწერია მეფულისათვის: ლადოს ძმა, ვახტანგ კოტეტიშვილი დახვრეტილი იყო, მისი 12 წლის ქალიშვილი - მანანა - გარდაცვლილი. ეს ის გოგონაა, რომელიც სისხლის გათეთრების დიაგნოზით ინვა საავადმყოფოში, როცა ვახტანგს წასაცვანად მოაკითხეს შინასაკომიდან. ითხოვა, ნება მომეცით ქალიშვილის გვერდით ვიყო უმიმღვს ნუთებში და მერე ჩემი ფეხით მოვალაო. ვინ უსმინა... უმოკლეს ხანში მანანა გარდაიცვალა, უკვე მამითაც ობოლი იყო... (დედა მესამე შვილის, ვახუშტის, დაბადების შემდეგ დასწულდა და მალე აღსრულა კიდეც). პროცესიას მისი ბიძა - ლადო მიჰყვებოდა. ეს მოუწვლელი ტკივილი სიცოცხლის ბოლომდე სტანჯავდა.

ლადო კოტეტიშვილი ბევრის-



თვის საყვარელი ექიმი იყო. მისი ქალიშვილი, ნანა, იხსენებს:

- მამა ავადმყოფებს შინ იღებდა, ესენი იყვნენ ძირითადად უბრალო ადამიანები - მეარღნები, მუშები, როგორც ჩანს, წინათ ნეგროზს ასეთი უკიდურესად გაჭირვებული ხალხი უჩიოდა, მამა რეცეპტთან ერთად წამლის ფულსაც ხშირად აძლევდა ავადმყოფებს. ზოგჯერ თავად გადიოდა აფთიაქში და მოჰქონდა წამალი. ამიტომ ძალიან ჰყვარებოდა მამა. ხშირად მასთან მოდიოდნენ განკურნების შემდეგაც.... მამას გარდაცვალების მერეც მოდიოდნენ მისი პაციენტები ჩვენთან, გვიამბობდნენ მამაზე, გვიკრავდნენ არღანზე და გვართობდნენ ობლებს.

მას მერე, რაც ვახტანგი დახვრეტეს, ბევრმა შეაქცია ზურგი მტრად გამოცხადებული კაცის ოჯახს. ისეთებმაც კი, ვინც ხშირად დადიოდა იქ. დამინებული ხალხი

სალმის მიცემასაც კი ერიდებოდა. მამა ჯამაგირს როცა აიღებდა, ჯერ ძმის ოჯახში მიდიოდა, მერე - შინ. მე და ვახუშტი ტოლები ვიყავით და ერთნაირ ტანსაცმელს ყიდულობდა ორივესთვის.

უკომპრომისო იყო. პარტიული კი არა, პროფკავშირის წევრიც არ გამხდარა. ერთხელ პროფკავშირის სხდომაზე განუცხადებია: არ ვარ კავშირის წევრი და არც ვიქნები, რადგან თქვენს ტრამვაიაში არ ჩაიჯდომება, თქვენ აბანოში არ წაისვლება. ყველგან სიბინძურე და უწესრიგობაა, კატეგორიული წინააღმდეგი ვარ განვერიანებისო...

ქალიშვილები რუდუნებით ეხებოდა მამის ხელნაწერებს, წერილებს... ზოგიერთი მათგანი ისეთ გასაღებს იხსნავს, რომლითაც პიროვნების მთელი საიდუმლო შეიძლება გაიხსნას... დასასრულისთვის სწორედ ერთი ასეთი წერილი მინდა წაგაკითხოთ, რომელიც მეგობრისთვის ლენინგრადიდან გამოუგზავნია:

„გამარჯობა გრიშა! ალბათ გაინტერესებს ჩემი ამბავი. მე კარგად ვარ. ხომ იცი დაბერტყილ და დაცარიელებულ ჩონჩხის მეტს მე მინას არაფერს მივცემ. რაც კი არის ჩემში გონებრივი თუ ადამიანური, ეს აქ უნდა დარჩეს, ამ ქვეყანაზე. ეს იმიტომ კი არა, რომ ან სახელი მაინტერესებს, ან ხარისხი, ან კეთილდღეობა, - სრულიადაც არა. მე ვცდილობ მხოლოდ ვიყო ადამიანი სრულქმნილი, როგორც მიქელანჯელოს ქანდაკება, რომელიც მალაქ კელიდან რომ დააგორეს, ძირაგინდ ისე ჩაგორდა, რომ არამც თუ არ გატყდა, ერთი ნაკვითი არ შეშლია. რატომ? იმიტომ რომ სწორედ იყო გაკეთებული. ადამიანიც ისე სწორად უნდა იყოს აშენებული, რომ არანაირ პირობებში არ უნდა იბრუნოს არცერთი ნაკვითი გონებისა და ზნეობისა, არ უნდა დაკარგოს - არსად არ უნდა გაიბზაროს. მაგარი უნდა იყოს, როგორც ძველი დამასკის ქაშანური. თორემ იცი გაბზარული ნივთი სავეს თავის დღეში არ იქნება. ის მუდამ ცარიელია, ან ცოტა რამე თუ დგას შიგ, ისიც ცუდად დალაცლაცებს მასში. ასეთ ყოფას და ლაცლაცით თრევას ქვეყანაზე, ოღონდაც, სიკვდილი სჯობია. მაგრამ ასეთ კაცს რა უნდა მოუკვდეს, როცა ცოცხალი არაფერი აქვს? განა მკვდარი კი სულ კვდება? ცოტა რაღაც ცოცხალი იმასაც რჩება - მაგრამ ეს ხომ სიცოცხლე არ არის. აი, ჩემო გრიშა, ეს არის მიზეზი ჩემი წყევტისა კუთხიდან კუთხემდე.

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფელს კი არა რა არგოს“, - ასე სთქვა პოეტმა - ჭეშმარიტებაა სრული.

როგორ მიღის ჩემი მეცადინეობა, ეს მერე გამოჩნდება, მაგრამ იცოდეთ ნაბრძოლზე დათხრილი და დაცარიელებული ადგილი რჩება - სხვა არაფერი, და ნამუხლარი, თუ სადმე წაიჩოვა. იყავი კარგად. ლადო ლენინგრადი. 27 VIII-39“

ლელა ჯიყაშვილი



„წვიმის ცამეტი წვეთი“ - ტრაგედიის გაცოცხლებული გმირები და „ჰიგიას“ წარმატება

„მზე ისევ გაათბობს თბილისს და აღარ იწვიმებს ცა მეტს... მე რა დამავინყებს ივნისს? მე რა დამავინყებს 13-ს?“ - ამ სტრიქონების სევდიანი განწყობა მთელი სიმძაფრით აისახა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თეატრ „ჰიგიას“ მიერ წარმოდგენილ თეატრალურ დადგმაში - „წვიმის ცამეტი წვეთი“, რომელიც სტუდენტური დღეების ეგიდით გაიმართა და 13 ივნისის ტრაგედიას მიეძღვნა. იდეა, წარმოდგენით გამოხმაურებოდა ერთი წლის წინანდელ შემზარავ ტრაგედიას, თეატრ „ჰიგიას“ რეჟისორს, ნათია გუჯაბიძეს, ეკუთვნოდა, დასმაც საოცარი მონდომებით იმუშავა - შეკრიბეს ისტორიები დალუპულზე და წარმოდგენაში გააცოცხლეს მათი ნათელი სახეები. თეატრალურ კომპოზიციას ჰყავდა მთავარი მოქმედი გმირიც - დალუპული მამუკელი, ზურა მუზაშვილი, რომელიც ბექა ხურციძემ განასახიერა და მისი მთავარი სათქმელიც: - „წინასწარ რომ მცოდნოდა ამ ამბის დასასრული, იგივეს გავაკეთებდი“, - მართლაც განსაკუთრებული ემოციური მუხტით მიიტანა მსაყურებლამდე. ემოციური და შთამბეჭდავი იყო დასის წევრების

გვერდით დგომაზე“, - ერთგვარ ლაიტმოტივად რომ გასდევდა წამოდგენას.

თეატრალურმა კომპოზიციამ მსაყურებლის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა და სტუდენტურ დღეებზეც საუკეთესო თეატრალურ დადგმად დასახელდა. ფილარმონიაში გამართულ დასკვნით ღონისძიებაზე საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა, ბატონმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა მადლობა გადაუხადა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ამ საოცრად შთამბეჭდავი და ემოციური თეატრალური წარმოდგენისთვის.

ეს უკვე მერამდენე გამარჯვებაა, რომლითაც „ჰიგია“ გაახარა თავყანისმცემლები. ასევე წარმატებით მონაწილეობს იგი ქვეყნის გარეთ გამართულ თეატრალურ ფესტივალებში. სულ რამდენიმე ხნის წინ დასამა სტუდენტურ ფესტივალებზე „ქეთო და კოტე“ წარმოადგინა, თხუთმეტიდან შეიდ ნომინაციიაში გაიმარჯვა და საუკეთესო საპექტაკლისთვის გრან-პრიც დაიმსახურა.

„ჰიგიას“ რეჟისორი უკვე ახალ წარმოდგენაზე („ცხოვრების მატარებელი“) მუშაობას გეგ-



მიერ განსახიერებული მოხალისე ახალგაზრდების სამაგალითო აქტივობა, ტრაგედიის დროს განსაკუთრებული პასუხისმგებლობით და ერთსულოვნებით რომ გამოავლინეს. და, რაღა თქმა უნდა, დამაჯერებლად უღერდა მთხრობელის (გიორგი კოლხიდაშვილი) ფრაზაც: „ამ დღეს ბევრი გმირი დაიბადა; დარწმუნებული ვარ, ასე მოიქცევით თქვენც და არასდროს ვიტყვით უარს ერთმანეთის

მავს, რომელიც, გვჯერა, ისეთივე წარმატებული იქნება, როგორც დასის მიერ წარმოდგენილი არაერთი საპექტაკლი.

ნატო ზოლქვაძე

„ექიმობის მივიწყებული ხელოვნება“

კიდევ ერთი საინტერესო მონოგრაფია შეემატა ქართულენოვან სამედიცინო ლიტერატურას - გამოჩენილი კარდიოლოგის, მოძრაობის - „ექიმები მშვიდობისთვის“ თანადამფუძნებლის, ნობელის პრემიის ლაურეატის, ბერნარდ ლაუნის - „ექიმობის მივიწყებული ხელოვნება“.

მონოგრაფია, ავტორის თანხმობით, ინგლისურიდან ქართულად თარგმნეს პროფესორებმა; ჯიმშერ და იაკობ ლეჟავებმა. წიგნი გამოვიდა 2016 წელს.

მთარგმნელები წინასიტყვაობაში აღნიშნავენ: „ქართველი მკითხველის

წინაშე სამედიცინო ბესტსელერი, რომელიც მსოფლიოს მრავალ ენაზე თარგმნილი და იკითხება როგორც კარგი დეტექტივი ან რომანი“.

თანადამფუძნებელი მედიცინაში „დაკარგა სულიერება“... ამერიკული მედიცინა მსოფლიოში საუკეთესოდ ითვლება - აღნიშნავს ავტორი. თითქმის დღე არ გავა მნიშვნელოვანი აღმოჩენის გარეშე - დამარცხებულია მრავალი დაავადება, რომელიც წინათ უკურნებელ სენად ითვლებოდა, მიუხედავად ამისა, შეერთებულ შტატებში ექიმების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების პრობლემა სულ უფრო

აქტიუალური ხდება. პარადოქსია: ექიმებს ამჟამად გაცილებით მეტი დახმარების აღმოჩენა შეუძლიათ ავადმყოფებისთვის, მაგრამ ექიმებისადმი უნდობლობა და მტრული დამოკიდებულება მანაც მატულობს“.

მონოგრაფია შედგება ხუთი ნაწილისგან და მოიცავს პრაქტიკოსი ექიმისთვის მნიშვნელოვან რჩევებს, როგორცაა დიაგნოსტიკის ხელოვნება, ანუ როგორ მოვუსმინოთ ავადმყოფს; საექიმო ხელოვნება, ანუ როგორ განკურნოთ ავადმყოფი; განკურნების მეცნიერება და ხელოვნება; ჯანმრთელო-

ბის უღრმესი პრობლემები და პაციენტად ყოფნის ხელოვნება.

მონოგრაფია მთავრდება დასკვნით: „ექიმის სიბრძნე სწორედ იმასია, რომ მან დაავადების საშემოვნა არც უნდა დაკანონოს და არც გააზვიადოს“.

უმთავრესი კი ის არის, რომ ექიმის ყოველი ქმედება ადამიანის კეთილდღეობას უნდა ემსახურებოდეს და ამას იგი უდიდეს პრივილეგიად თვლიდეს, რომელიც ბედმა არგუნა“.

მონოგრაფია საუკეთესო საჩუქარია სტუდენტებისა და პრაქტიკოსი ექიმებისთვის.

„საპატივითი გაზეთი“ რედაქცია ვაჟა-ფშაველას გამზირი №33, ოთახი №600, ტ.: 254-24-64 რედაქტორი ლელა ჯიყაშვილი კორესპონდენტები: მანანა ფხალაძე ტ.:555 29 98 27 დარეჟან კომლაძე ტ.:558 17 08 47 ნატო ზოლქვაძე ტ.:555 28 28 97 ელ-ფოსტა newspaperstmu@gmail.com